ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 75

ქალაქი ქუთაისი 24 ივნისი 2026 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის
16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში, კერძოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხას დაემატოს №570-№579 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა ქ რ ე ბ უ ლ ო
გას. № 75
25. 06 2026 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2026 წლის 24 ივნისის
№75 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნ უ ს ხ ა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრა-ციო ნომერი
1	2	3	4	5
570	არასასოფლო-სამეურნეო და-ნიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №1-3-ის ჩრდილოეთით	56	03.06.22.689
571	არასასოფლო-სამეურნეო და-ნიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა, №83	103	03.01.22.799
572	არასასოფლო-სამეურნეო და-ნიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, №44-ის მიმდებარედ	128	03.05.22.1029
573	არასასოფლო-სამეურნეო და-ნიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, №44ბ-ს აღმოსავლეთით	185	03.05.22.1024
574	არასასოფლო-სამეურნეო და-ნიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ზვიად გამსახურდიას გამზირი, №39-ის მიმდებარედ/ქალაქი ქუთაისი, ზვიად გამსახურდიას გამზირი, №39-ის ჩრდილოეთით	692	03.05.27.786
575	არასასოფლო-სამეურნეო და-ნიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა, №10ბ-ს მიმდებარედ	70	03.04.30.802
576	არასასოფლო-სამეურნეო და-ნიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირის დასაწყისის მიმდებარედ	291	03.06.25.815
577	არასასოფლო-სამეურნეო და-ნიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, სოლომონ მეორის ქუჩის II შესახვევი	3163	03.06.24.729
578	არასასოფლო-სამეურნეო და-ნიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის გამზირი, №43ბ	98	03.01.23.914
579	არასასოფლო-სამეურნეო და-ნიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №19	4211	03.05.22.1040

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ჭიღვარია